წლიური ანგარიში გენდერული თანასწორობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შესახებ

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ შექმნილია გენდერული თანასწორობის საკითხების შესაბამისი ინსტიტუციური სისტემა. 2020 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2021 წლის 17 მარტს შეიქმნა და დამტკიცდა მაკოორდინირებელი კომისია.

კომისიის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს სააგენტოში არსებული სტრატეგიების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და შიდა რეგულაციების გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებაზე ზედამხედველობა, სააგენტოს მიერ სხვადასხვა სტრატეგიული ამოცანების დაგეგმვა, კოორდინირება, შესრულება და შესრულების მონიტორინგი.

2021 წელს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი კომისიის შეკრება შედგა 2021 წლის 21 ივნისს და 2021 წლის 30 დეკემბრს, რომელიც გაფორმდა შესაბამისი ოქმებით. კომისიის სხდომის დღის წესრიგს წარმოადგენდა გენდერული თანასწორობის სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების სტატუსი, მათი განხილვა და შეფასება. მათ შორის აღსანიშნავია:

- სააგენტოს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და სხვა საკითხების შესახებ კომპეტენციის ამაღლების მიზნით 2020 წლიდან 2021 წლის ჩათვლით განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN Women დახმარებით სამი ღონოსძიება:

    - ტრეინინგი „სექსუალური შევიწროება და მსხვერპლზე ფოკუსირებული გამოძიების მექანიზმები“. (2020 წლის 13-15 იანვარი)
    - სამუშაო შეხვედრა ”გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება“. (2020 წლის 7-9 აგვისტო)
    - ტრეინინგი „დისკრიმინაციის ფორმები სამუშაო ადგილზე და თანასწორობის მიღწევის გზები და ბარიერები“. (2021 წლის 25-27 ივნისი)

  2021 წლის 3-5 დეკემბერს Global Compact Network Georgia-ს ორგანიზებით, შვედეთის მთავრობისა და USAID პარტნიორობით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე „კორპორაციული მდგრადობის სტიმულირება პოლიტიკის დონეზე“.

- სააგენტოში დაინერგა ელექტრონული კურსები გენდერული თანასწორობის და სექსუალური შევიწროვების შესახებ. სააგეტოს თანამშრომელთა 70% გადამზადდა და სერტიფიცირებულია შესაბამის საკითხებში.

- დანერგილია სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემა. ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება გენდერულ ჭრილში მიკრო და მცირე მეწარემობის

საგრანტო და ასევე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების ფარგლებში (ინდუსტრიული და უნივერსალური ნაწილები). აქედან უკანასკნელზე მონაცემების შეგროვება დაიწყო 2021 წელს.

- GIZ-თან თანამშრომლობის ფარგლებში სააგენტოს პროგრამების ეფექტურობის ანალიზის და მონიტორინგის მიზნით შემუშავდა ინდიკატორების კატალოგი. მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა. მოცემულ სისტემაში მოხდება სააგენტოს პროგრამების ფარგლებში სქესის ნიშნით დანაწევრებული ინფორმაციის შეგროვება და შემდგომი ანალიზი შემუშავებული ინდიკატორების მეშვეობით.

- თანამშრომელთა მუშაობის შეფასების, დაწინაურების და თანაბარი ანაზღაურების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავების მიზნით დაწყებულია შეფასების სისტემის დანერგვის პროცესი, რომელიც სატესტოდ 2020 წელს ექსპორტის დეპარტამენტში იქნა გამოყენებული. ამ დროისთვის არსებობს შეფასების სისტემის მოდელის ძირითადი მონახაზი.

  შექმნილია ე.წ. HR Manual, რომელიც მოიცავს დაწინაურებისა და წახალისების მექანიზმებს, აღნიშნული დოკუმენტი არის სამუშაო ვერსია

- ბენეფიციარების, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალების, სამეწარმეო უნარების და ეკონომიკური გაძლიერებისთვის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის 2020 წლის ახალი ეტაპის ფარგლებში საჭირო ცოდნის განვითარების მიზნით განხორციელდა ტრენინგები მეწარმეებისთვის სხვადასხვა თემაზე: მეწარმეობის საფუძვლები, ბიზნეს გეგმის შედგენა (თეორიული და პრაქტიკული სამუშაოები) გადასახადის გადამხდელი პირების სტატუსები და საგადასახადო შეღავათები. 2021 წელს კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ განხორციელდა ტრენინგების ჩატარება პროგრამის მონაწილე 2074 ქალ აპლიკანტთან.

  2020 წლის ახალ ეტაპის ფარგლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა ქალი და ახალგაზრდა მეწარმეები.

- ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა სააგენტოს ინდუსტრიული მიმართულების 800 ბენეფიციართან. გაიგზავნა მოკლე ინფორმაცია ქალთა გაძლიერების 7 პრინციპის შესახებ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის და გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ბიზნეს კომპანიებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ქალების გაძლიერებას სამუშაო ადგილზე, ბაზარზე და საზოგადოებაში.

- გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზნით სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფს აქვს მუდმივი კომუნიკაცია როგორც საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, ისე სამთავრობო სექტორთან.

    - გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN Women ზუგდიდის ოფისის მიერ ორგანიზებული შეხვედრის ფარგლებში, ქალ მეწარმეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია სააგენტოს ახალი პროგრამების შესახებ.
    - დაიგეგმა საერთაშორისო ასოციაცია "ქალი და ბიზნესთან" პარტნიორობით საინფორმაციო შეხვედრა ქალ მეწარმეებთან.

- საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, 2021 წლის ნოემბრრის თვეში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან (ლანჩხუთი, ჩოხატაური) თანამშრომლობით, სსიპ აწარმო საქართველოში და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Wamen) მხარდაჭერით განხორციელდა სასწავლო/ტრენინგ-კურსში „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი“ რომლის ფარგლბში მონაწილეთა 50% შეადგენდა ქალი.

- სააგენტოს მიერ საზოგადოებისთვის რეგულარულად განახლებადი ინფორმაციის გენდერული საკითხების, სტრატეგიების პროგრესისა და შედეგების შესახებ ინფორმირების მიზნით იყენებს სხვადასხვა საინფორმაციო პლატფორმას. სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსებულია გენდერული თანასწორობის სტრატეგია. ასევე ქალთა პოპულარიზაციის მიზნით სააგენტოს ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში 2020 წლიდან 2021 წლის ჩათვლით განთავსებულია 30 ერთეული პოსტი/ ბანერი ქალი მეწარმეების შესახებ და მათი წარმატების ისტორიები;

- სააგენტოში სექსუალური შევიწროების და დისკრიმინაციის შესაძლო სხვა ფორმების საწინააღმდეგო პოლიტიკისა და შესაბამისი საჩივრების მიღება-განხილვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით, დამტკიცებულია სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტი, ფუნქციონირებს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მოკვლევის მექანიზმი, სააგენტოში სექსუალური შევიწროების საკითხზე გადამზადებულია თანამშრომელთა 70%.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“